საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1327 2022 წლის 25 ივლისი ქ. თბილისი

2022 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), საქართველოში 2022 წლის რთვლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რთვლის

საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩაბარების პროცესში, ადგილებზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

4. ღვინის კომპანიები, რომლებსაც აქვთ განზრახული ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან, ელექტრონული ფორმით გაიარონ რეგისტრაცია რთვლის საკოორდინაციო შტაბში.

5. სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის პირობების დადგენა.

6. ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს მის მმართველობაში არსებული შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ (ს/ნ: 405406109) მიერ 2022 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო რესურსების მოძიება საფინანსო ინსტიტუტებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**